საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ქეთევან მესხიშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:** 94

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	12	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	94	100

სახელი, გვარი: ქეთევან ცინცაძე

თარიღი: 28.05.21

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

ქეთევან მესხიშვილის

შეფასება

28 მაისი, 2021 წელი

ქ. თბილისი

კანდიდატის - ქეთევან მესხიშვილის მიერ **წარმოდგენილი დოკუმენტაციის** (ავტობიოგრაფია; სამართლებრივი დოკუმენტები/სასამართლო გადაწყვეტილებები; სერტიფიკატები) და **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის** (რეკომენდაციები; რესპონდენტთა (კანდიდატთან სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი კოლეგების და სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა შეფასებები) მიერ შევსებული კითხვარები; ინფორმაცია კანდიდატის პროფესიული აქტივობების შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის მიმართ დაწყებული დისციპლინური დევნის/ არსებული დისცილინური სახდელების შესახებ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის პოლიტიკური აქტივობების შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის რომელიმე საქმეში მხარედ მონაწილეობის შესახებ; კანდიდატის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაცია; სს „კრედიტინფო საქართველოს" მონაცემები კანდიდატის დახურული და მიმდინარე კრედიტების თაობაზე; სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემები კანდიდატის შემოსავლის წყაროს, აქტივებისა და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ; ინფორმაცია - მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან; უძრავი ქონების რეესტრიდან; სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეთა წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის თაობაზე - განხილვის ვადები და სტაბილურობა; ინტერნეტსივრცეში არსებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ; ინფორმაცია კანდიდატის სოციალურ ქსელში აქტივობების და საჯარო გამოსვლების შესახებ და ა.შ) **შესწავლისა** და **კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების შედეგების საფუძველზე,** „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდა **კანდიდატის ქეთევან მესხიშვილის** (სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი) შეფასება „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმისა და ამავე კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული კომპეტენტურობის კრიტერიუმის შესაბამისად.

მოკლე ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

კანდიდატი: ქეთევან მესხიშვილი

ასაკი: 39 წლის

განათლება: უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული (თსუ); დოქტორის აკადემიური ხარისხი 2010 წ. (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 15 წელი

სამუშაო ადგილი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე

1. კანდიდატის ქეთევან მესხიშვილის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

1.1 პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის – როგორც მოსამართლისა და მოქალაქის – პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული კანდიდატის შესახებ რეკომენდატორებისა და რესპონდენტთა მხრიდან შევსებული კითხვარები; კანდიდატის ქონებრივი დეკლარაცია; სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემები; ინფორმაცია სს „კრედიტინფო საქართველოდან"; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ.

ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის პასუხისმგებლობის გრძნობას, გულისხმიერებას,

დამოუკიდებლობას, მაღალ პიროვნულ და პროფესიულ ავტორიტეტს, მიუკერძოებლობას, სიმტკიცეს და ა.შ. რესპონდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპონდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

კანდიდატს ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. პარკირების წესების დარღვევისათვის დაკისრებული აქვს ჯარიმა (1 შემთხვევა), რომელიც გადახდილია კანონით დადგენილ ვადაში.

კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის ფარგლებში, რაიმე ტიპის ნეგატიური ინფორმაცია, კანდიდატის - პატიოსნების, კეთილსინდისიერების ან სხვა მახასიათებლის ნაწილში არ გამოვლენილა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს.

1.2 დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან, მათ შორის, ინტერნეტ სივრცეში მის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე, კანდიდატის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დამოუკიდებლობის პრინციპის ან რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოების ფაქტი არ გამოვლენილა. ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი - ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებელს.

1.3 პიროვნული და პროფესიული ქცევა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების

მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე, მათ შორის, რეკომენდატორთა/რესპონდენტთა მიერ შევსებული კითხვარების და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

1.4 პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა. მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, (რეკომენდაციები, კითხვარები) კანდიდატის პროფესიული და პიროვნული რეპუტაცია ხასიათდება დადებითად, ამასთან, ინტერნეტ სივრცეში მოპოვებული ინფორმაციის ფარგლებში, რაიმე ტიპის კონკრეტული ფაქტი, რომელიც უარყოფითად აისახებოდა კანდიდატის რეპუტაციაზე არ მითითებულა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასათებელსაც.

1.5 ფინანსური ვალდებულება

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

კანდიდატის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის, სს „კრედიტინფო საქართველოს" მონაცემების, სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემების, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან და უძრავი ქონების რეესტრიდან

არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და კანდიდატის ქონებრივი ინტერესები წინააღმდეგობაში არ მოდის მართლმსაჯულების ინტერესებთან, შესაბამისად კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმსაც.

დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ

გამომდინარე იქიდან, რომ კანდიდატმა - ქეთევან მესხიშვილმა, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელი დააკმაყოფილა სრულად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი - სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

2. კანდიდატის ქეთევან მესხიშვილის - შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

2.1 სამართლებრივი ნორმების ცოდნა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე.

აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას, მხედველობაში იქნა მიღებული კანდიდატის მიერ საჯარო გასაუბრების პროცესში გამოვლენილი სამართლებრივი ნორმების ცოდნა და მის მიერ წარმოდგენილ სასამართლო გადაწყვეტილებებში გამოყენებული სამართლებრივი ნორმების რელევანტურობა.

საჯარო გასაუბრების პროცესში, კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი მის მიმართ არსებულ შეკითხვებს პასუხს სცემდა სრულყოფილად, დასაბუთებულად და დამაჯერებლად. კანდიდატი კონკრეტულ კითხვებზე პასუხის გაცემისას, შემოიფარგლებოდა კონკრეტული ნორმების არა ვიწრო განმარტებით, არამედ მსჯელობდა კონკრეტული სამართლებრივი საკითხის თეორიულ თუ პრაქტიკულ მხარეებზე, ახორციელებდა შედარებას უცხო ქვეყნის კანონმდებლობასთან, ასევე მითითებას როგორც შიდა სასამართლო პრაქტიკაზე, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე და ა.შ.

კანდიდატმა სიღრმისეულად ისაუბრა ჩვეულებასა და მორალზე; ქართული სამართლის ძეგლებზე; საქართველოს პირველ კონსტიტუციაზე; ადამიანის უფლებათა ევროპული

კონვენციის მე-4 და მე-14 დამატებით ოქმზე; ამავე კონვენციის მე-9 მუხლზე; „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ“ საქართველოს კანონზე; მოსამართლის განსხვავებული აზრის მნიშვნელობაზე; დისკრიმინაციის საკითხებზე, მათ შორის, სახელშეკრულებო ურთიერთობებში; ღირსების აბსოლუტურობიდან გადახვევის შესაძლებლობაზე; ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა მიერ ბავშვის შვილად აყვანის სამართლებრივ საკითხზე და ა.შ.

თუმცა, კანდიდატს სიღრმისეულად და დეტალურად არ უსაუბრია - სასაქონლის ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით არსებულ სასამართლო პრაქტიკაზე განსჯადობის კუთხით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საქმის წარმოების განახლების თავისებურებაზე (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე); საარბიტრაჟოს წარმოების პროცესში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თავისებურებებზე და ა.შ.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სასამართლო გადაწყვეტილებაში/განსხვავებულ აზრში შესაბამისი სამართლებრივი ნორმები გამოყენებულია სწორად და თანმიმდევრულად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების თუ შესაბამისი სამართლებრივი პრობლემის რელევანტურად.

ამდენად, მოსამართლის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საჯარო გასაუბრების პროცესში კანდიდატი სამართლებრივ საკითხებზე პასუხს სცემდა ძირითადად სრულყოფილად და სიღრმისეულად, სამართლებრივი ნორმების ცოდნის მახასიათებელში იგი უნდა შეფასდეს - 19 ქულით (95%).

2.2 სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებების/განსხვავებული აზრის (1. დავის საგანი - ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება; 2. დავის საგანი - ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა; 3. განსხვავებული აზრი - დავის საგანი - სესხის ხელშეკრულების პასუხისმგებელი სუბიექტის შესახებ) გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები/პუბლიკაციები დასაბუთებულია, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. გადაწყვეტილებები არის სათანადოდ არგუმენტირებული, განმტკიცებულია, შესაბამისი მატერიალური და პროცესუალური ნორმებით. წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში

კანდიდატის მიერ გამოყენებულია როგორც შიდა კანონმდებლობა, ისე საერთაშორისო აქტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატის, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციები და ა.შ.

ამდენად, წარმოდგენილი გადაწყვეტილებები/სამართლებრივი აქტები შეესაბამება გადაწყვეტილების დასაბუთებულობის მაღალ სტანდარტს.

ამასთან, საჯარო გასაუბრების პროცესში კანდიდატმა გამოავლინა სამართლებრივი დასაბუთებისა და ანალიტიკური აზროვნების ძალიან კარგი უნარი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას, კომპეტენციის კუთხით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, კანდიდატის იურიდიულ სფეროში მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება, მათ შორის, 10 წლიანი სამოსამართლო გამოცდილება.

ამდენად, კანდიდატის სამუშაო გამოცდილების, წარმოდგენილი გადაწყვეტილების/განსხვავებული აზრის და საჯარო გასაუბრების გათვალისწინებით, აღნიშნულ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 20 ქულით (100%).

2.3. წერის უნარი

<u>„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, წერის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.</u>

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი 2 სასამართლო გადაწყვეტილების; განსხვავებული აზრის და სამეცნიერო სტატიის - „დიფამაცია ქართული და ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით“, გაცნობის შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატის მიერ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები გასაგები ენით არის ჩამოყალიბებული, დოკუმენტები არის დასაბუთებული, სათანადოდ ორგანიზებული, დოკუმენტებში არსებული ფაქტობრივი გარემოებები თუ სამართლებრივი შეფასებები ჩამოყალიბებულია სტრუქტურირებულად და ლოგიკური თანმიმდევრობით, კანდიდატის მიერ ძირითადად დაცულია მართლწერისა და პუნქტუაციის წესები.

ამდენად, მიმაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს - 18 ქულით (90%).

2.4 ზეპირი კომუნიკაციის უნარი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

საჯარო გასაუბრების შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კანდიდატს გააჩნია ძალიან კარგი ზეპირი კომუნიკაციის უნარი, მეტყველებს გამართულად, გააჩნია საკუთარი აზრის გადმოცემისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, რის გამოც მისი შეფასება უნდა განხორციელდეს - 15 ქულით (100%).

2.5 პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულის კანონის 36³ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, პროფესიული თვისებების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას, მხედველობაში იქნა მიღებული რესპონდენტთა მოსაზრებები კანდიდატის პროფესიული თვისების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის შესახებ, ასევე ინფორმაცია კანდიდატის მიმართ დისციპლინური სახდელის და დისციპლინური დევნის არ არსებობის შესახებ.

ამასთან, აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას, მხედველობაში ასევე იქნა მიღებული კანდიდატის მიერ საქმის განხილვის/სასამართლო გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვის და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია (2017 წლის ნოემბერი - 2020 წლის ნოემბერი):

საქმის განხილვის ვადების დაცვა -_ 73,8% ვადის დარღვევით 26.2%

გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა - ვადის დაცვით 75% ვადის დარღვევით 25%

გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა - უცვლელი 90.2% შეცვლილი 9.8%.

არსებული სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი არის პროდუქტიული, აქვს სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი, უმეტესად იცავს საქმის განხივის ვადებს და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის ძირითადად სტაბილური.

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან მონაცემებიდან გამომდინარე, მათ შორის, გადაწყვეტილებათა სტაბილურობის კომპონენტის და ვადების დაცვის კომპონენტის გათვალისწინებით, კანდიდატი უნდა შეფასდეს - 12 ქულით (80%).

2.6 აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულის კანონის 36³ მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

კანდიდატს 2004 წელს ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა და ასევე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა. 2005 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი მრავალი წელია ეწევა აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას. მინიჭებული აქვს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

კანდიდატი 2015 წლიდან დღემდე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელი. 2014 წლიდან დღემდე თავისუფალი უნივერსიტეტის სრული პროფესორი კერძო სამართლის მიმართულებით.

2020 წლიდან არის - თემაზე „გადახდისუუნარობის საქმის წარმოება" - მოწვეული ექსპერტი GIZ, პრაქტიკოსი იურისტებისა და მოსამართლეებისათვის.

2020 წლიდან არის - სამართლის ინსტიტუტის მოწვეული ექსპერტი, თემა - „შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები და პანდემია".

2020 წლიდან არის - მოწვეული ექსპერტი EWMI PROloG, თემა - „პანდემია და ხელშეკრულებების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება".

2007 – 2012 წლებში იყო კავკასიის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი კერძო სამართლის მიმართულებით.

2005 – 2006 წლებში იყო საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი საერთაშორისო სამართლის მიმართულებით.

2012 – 2014 წლებში იყო კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი კერძო სამართლის მიმართულებით.

2012 წლიდან არის - მოწვეული ექსპერტი მოსამართლეებისა და მოსამართლის თანაშემწეებისათვის (სემინარების ორგანიზატორი: GIZ, HSoJ), თემაზე - „სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ტექნიკა".

2014 წლიდან არის - სახელშეკრულებო სამართალი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი სალექციო კურსების ორგანიზატორი (თავისუფალი უნივერსიტეტი.

2015 წლიდან არის - მოწვეული ექსპერტი ნოტარიუსებისათვის (სემინარების ორგანიზატორი - საქართველოს ნოტარიუსთა პალატა), შემდეგ თემებზე - „მემკვიდრეობითი სამართალი", „სანოტარო საქმე და სასამართლო პრაქტიკა", „ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი ასპექტები".

2015 წლიდან არის - მოწვეული ექსპერტი მოსამართლეებისათვის, მოსამართლის თანაშემწეებისათვის (სემინარების ორგანიზატორი: CoE, HSoJ), თემაზე - „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვა".

2016 წლიდან არის - „საკუთრების უფლების მნიშვნელოვანი ასპექტები" - მოწვეული ექსპერტი პრაქტიკოსი იურისტებისათვის (სემინარების ორგანიზატორი: იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრი) თემაზე „საკუთრების უფლების მნიშვნელოვანი ასპექტები".

2016 წლიდან არის - მოწვეული ექსპერტი ჟურნალისტებისათვის, ადვოკატებისათვის (სემინარების ორგანიზატორი: OSGF, HSoJ, იურიდიული ფირმების ასოციაცია), თემაზე - „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება".

2016 წლიდან არის - მოწვეული ექსპერტი მოსამართლეებისათვის, თემაზე - „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი შრომის სამართალი" (სემინარების, სამუშაო ჯგუფის ორგანიზატორი: ILO, HSoJ).

2016 წლიდან არის - მოწვეული ექსპერტი მოსამართლეებისათვის, სასამართლოს მოხელეებისათვის, თემაზე „სამეწარმეო სამართალი" (სემინარების ორგანიზატორი: GIZ, EWMI PROloG, HSoJ)

2016 წლიდან არის - ტრენერი მოსამართლეებისათვის, სასამართლოს მოხელეებისათვის (სემინარების ორგანიზატორი: GIZ, EWMI PROloG, HSoJ), ტრენინგი - „სამოსამართლო ეთიკა".

ასევე პროფესიული განვითარების მიზნით მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგ/სემინარში, კერძოდ:

- შრომის სამართლის სამართლის საერთაშორისო სტანდარტები - სასწავლო კურსი.

- შრომითი მიგრაცია და ევროპული სამართალი - ტრენინგი.

- მომხმარებელთა უფლებები ევროკავშირის სამართლის მიხედვით - ევროპის მოსამართლეთა სასწავლო ქსელი - ტრენინგი

- სამოქალაქო სამართლის აქტუალური საკითხები - სასამართლო - ტრენინგი (გერმანია. დრეზდენი).

- დისტანციური სწავლების მეთოდოლოგია, ხორვატიის სამოსამართლო სწავლების ცენტრი - ტრენინგი

- ბუნდოვანი სამოქალაქო სამართლებრივი საკითხების ანალიზი გერმანული პერსპექტივით - დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლო - სტაჟირება

- კანდიდატთა და მოსამართლეთა განგრძობადი განათლება - ტრენინგი .

- ადამიანის უფლებათა სტანდარტები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით - სემინარი.

- ტრენინგი ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ 1980 წლის ჰააგის კონვენციის მიხედვით - სემინარი.

- სამეწარმეო სამართალი - სემინარი.

ინტელექტუალური სამართალი და სასამართლო პრაქტიკა - სემინარი.

- საერთაშორისო შრომითი სტანდარტები და საქართველოს შრომის კოდექსი - სემინარი.

- სამოსამართლო ეთიკა - სემინარი.

- ბავშვზე ზრუნვისა და კეთილდღეობის სამართლებრივი ასპექტები - სემინარი.

- რელაციის მეთოდი, გადაწყვეტილების სტრუქტურა და დასაბუთება - სემინარი.

- უსაფუძვლო გამდიდრება - სემინარი.

- საავტორო სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის სამართალი - სემინარი.

- ბავშვზე ზრუნვის სამართლებრივი ასპექტები - სემინარი.

- იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი აღჭურვა - სემინარი.

- სამოქალაქო საპროცესო სამართლის აქტუალური საკითხები - სემინარი.

- თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგია - სემინარი. და ა. შ

ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კანდიდატს აქვს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი, მრავალწლიანი აკადემიური გამოცდილება, მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სასწავლო კურსსა თუ პროგრამაში, აღნიშნული მახასიათებელის მიხედვით იგი უნდა შეფასდეს - 5 ქულით (100%).

2.7 პროფესიული აქტივობა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულის კანონის 36³ მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

კანდიდატი ავტორია არაერთი სახელმძღვანელოს, სტატიისა თუ სამეცნიერო პუბლიკაციის, კერძოდ:

- „კერძო სამართლის აქტუალური საკითხები" (მონოგრაფია), თბილისი, 2020

- „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება", თბილისი, 2020, (რიდერი, თანაავტორი)

- „გადახდისუუნარობის სამართალი", თბილისი, 2020 - (რიდერი, თანაავტორი) ბ. პუბლიკაციები . 2020

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები (თანაავტორი), 2016 წ.

- შრომის სამართლის სახელმძღვანელო (თანაავტორი), თბილისი 2016წ.

- „ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში" (თანაავტორი) თბილისი, 2010 წ.

- პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის (თანაავტორი), თბილისი, 2010 წელი.

- აღმოსავლეთ ქვეყნების კონსტიტუციები (თანაავტორი) თბილისი, 2007 წ.

- „დიფამაცია“ ქართული და ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ჟურნალი ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, 2017 წ.

- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მცდელობა ქართული და ევროპული პერსპექტივით“ ჟურნალი ბიზნეს სამართლის მიმოხილვა 2017 წ.

- „თავდებობის სამართლებრივი ასპექტები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა“ ჟურნალი ბიზნეს სამართლის მიმოხილვა 2017 წ.

- „წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ბე, შედარებითსამართლებრივი ანალიზი“ ჟურნალი ბიზნეს სამართლის მიმოხილვა 2017 წ.

- „ფარული ჩანაწერი როგორც მტკიცებულება სამოქალაქო სასამართლო სამართალწარმოების ფარგლებში“ ჟურნალი ბიზნეს სამართლის მიმოხილვა 2015 წელი.

- „ვალის აღიარება (თეორია და სასამართლო პრაქტიკა“ ჟურნალი ბიზნეს სამართლის მიმოხილვა 2016 წ.

- „პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას'' ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა 2016 წ.

- „ვალუტის კურსის ცვლილების ზეგავლენა სამოქალაქო ურთიერთობებზე“ (ნომინალიზმის პრინციპი ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით'') ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, 2016 წ.

- „სამომხმარებლო კრედიტი“ ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, 2016 წ.

- „პირგასამტეხლო“ (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა) ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, 2014 წ.

- „მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება თაობაზე წარდგენილი სარჩელების სასამართლო წესით განხილვის ზოგიერთი თავისებურების პრაქტიკული ანალიზი'' „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი'', GIZ, თბილისი, 2012წ.

- „რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქ/პ მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით სამოქალაქო წარმოების თავისებურებათა მატერიალურ - პროცესუალური ანალიზი“ სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, GIZ, თბილისი, 2012 წ.

- „ბაჟი მაგისტრატი მოსამართლეების განსჯად საქმეებზე, ბაჟისაგან გათავისუფლებისა და ბაჟის ოდენობის შემცირების შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სტანდარტები'' (სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა'') ჟურნალი „თემიდა" საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2012 წ.

- „ერთიანი განზოგადებული სასამართლო პრაქტიკის არსებობის მიზანშეწონილობა სასამართლო სისტემაში", „მართლმსაჯულება და კანონი" #2 (33) თბილისი, 2012წ.

- კავკასიის სამართლის სკოლის სამაგისტრო პროგრამა, თბილისი 2009წ.

- კავკასიის სამართლის სკოლის სადოქტორო პროგრამა, თბილისი, 2010წ.

- სასამართლო პრაქტიკის განზოგადება სამოქალაქო სამართლის მიმართულებით. 2006-2008, 2014 წ. და ა.შ.

ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კანდიდატი უნდა შეფასდეს - 5 ქულით (100%).

დასკვნა კანდიდატის - ქეთევან მესხიშვილის კომპეტენტურობის შესახებ

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, კანდიდატი - ქეთევან მესხიშვილი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს - 94 ქულით, კერძოდ:

1. სამართლებრივი ნორმების ცოდნა - 19 ქულა
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 20 ქულა
3. წერის უნარი - 18 ქულა
4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა
5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - 12 ქულა
6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 5 ქულა
7. პროფესიული აქტივობა - 5 ქულა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ქეთევან ცინცაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ქეთევან მესხიშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	94	100

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

თარიღი: 27.05.2021ნ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ზაზა ხარებავა

ქეთევან მესხიშვილის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ქეთევან მესხიშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, რომლის მიხედვით: „საბჭოს წევრები, ამ კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით, 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს. აღნიშნულ შეფასებებსა და დასაბუთებებში მიეთითება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის სახელი, გვარი და ხელმოწერა"

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
ე) ფინანსური ვალდებულება.

2. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერის უნარი;
დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ზ) პროფესიული აქტივობა.

ხოლო ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

3. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

4. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
დ) პროფესიული თვისებები;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ვ) პროფესიული აქტივობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, განვახორციელე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაციის შესწავლა, ორგანული კანონით განსაზღვრული თითოეული კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით შეფასება და შესაბამისი დასაბუთება.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		დასაბუთება
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ ქეთევან მესხიშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას დავეყრდენი ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე მასზე მოძიებულ და აგრეთვე კანდიდატთან გამართულ საჯარო გასაუბრებით მიღებულ ინფორმაციას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგად დგინდება, რომ იგი პატიოსანი მოსამართლე და მოქალაქეა, გააჩნია საკუთარი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეა. მისი ფინანსური ვალდებულებებისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას დასტურდება, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერად, ღიად, გამჭვირვალედ და ჯეროვანი სიზუსტით ასრულებს სამსახურეობრივ და სამოქალაქო ვალდებულებებს, კერძოდ: ქეთევან მესხიშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია, მცირედი ჯარიმებით. მოძიებული მასალით ფიქსირდება ერთი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტი, კანდიდატს სრულად და დროულად აქვს გადახდილი დადგენილი ჯარიმა. კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები მას გულისხმიერ, კეთილსინდისიერ პიროვნებად ახასიათებენ. მივიჩნევ, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:** კანდიდატი დამოუკიდებელია სამოსამართლო ვალდებულებების შესრულებისას, სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებს ჯეროვნად, არის პრინციპული, შეუვალი. იკვეთება, რომ იგი თავისუფალია ყოველგვარი მიკერძოებისაგან და დისკრიმინაციული მიდგომებისაგან, დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, რაც აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და იყოს ზეგავლენის მიმართ მედეგი. კანდიდატი არ ფიქსირდება რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრად, მხარდამჭერად ან შემომწირველად. გასაუბრების პროცესშიც კანდიდატმა მის მიმართ დასმული ყოველი საკითხი განიხილა დამოუკიდებელი მიდგომებით, შესაბამისი ანალიზისა და არგუმენტაციის მოშველიებით. ასევე რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი არის პრინციპული, მიუკერძოებელი, მტკიცე, ზეგავლენის მიმართ მედეგი. მივიჩნევ, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:** გასაუბრების პროცესში კანდიდატი ავლენს თავდაჭერილობას, ზრდილობიანი და კორექტულია. კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკას, არის კორექტული კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას, სათანადოდ მართავს თავის ემოციებს, რითაც უზრუნველყოფს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამის ქცევისა და იმიჯის დაცვას. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ მოსამართლე გამოირჩევა სიმშვიდით, გაწონასწორებული ხასიათით, მაღალი პროფესიული სინდისით. კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით დგინდება, რომ ქეთევან მესხიშვილის მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი

		დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი იყო მოპასუხე ერთ ადმინისტრაციულ საქმეში (3/1692-19), დავის საგანი ზიანის ანაზღაურება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ 2019 წლის 21 ივნისს მიიღო განჩინება ხარვეზის შეუვსებლობის გამო სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ. კანდიდატი დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. მივიჩნევ, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:** კანდიდატის შესახებ რეკომენდაციებისა და კითხვარების ფორმების, მასზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს შრომისმოყვარე, სამართლიანი, მაღალი პროფესიული კომპეტენციის მქონე პიროვნებისა და მოსამართლის სახელით. რეკომენდატორები უთითებენ, კანდიდატს აქვს მაღალი პროფესიული და პიროვნული რეპუტაცია მოსამართლეებსა და იურიდიულ წრეებში. ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ქეთევან მესხიშვილის განხილული საქმის შესახებ, რომელიც შეეხებოდა პეტრიაშვილის ნომერ 1-ში მდებარე შენობას. ასევე ინფორმაცია, რუსთავი 2 -ის საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაწერის თაობაზე. მედიამ გააშუქა მისი მონაწილეობა სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლის შერჩევის და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კონკურსში. გამოქვეყნდა ცნობა მისი უვადოდ დანიშვნის თაობაზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კანდიდატის დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მიმართ ჩამოყალიბებული აზრის საწინააღმდეგო რაიმე დადასტურებული ფაქტი, ან ობიექტური გარემოება არ გამოვლენილა. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

			5. ფინანსური ვალდებულება: კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობიდან ირკვევა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები კანდიდატის ოჯახის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების შესახებ, ასევე საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე. თავად კანდიდატის საკუთრებაში უძრავი ქონება რეგისტირებული არ არის. კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია, მცირედი ჯარიმებით. მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ არ არსებობს საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების დაპირისპირებისა მართლმსაჯულების ინტერესებთან, რაც შესაძლოა გამხდარიყო მოსამართლის მიუკერძოებლობასადმი საფრთხის შემქმნელი. მივიჩნევ, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი ნაწილის ,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. ამდენად, კანდიდატთან გასაუბრების პროცესში და არც მასზე მოძიებული მასალებში არ გამოვლენილა რაიმე ისეთი გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**დასაბუთება**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური**	

		ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	კანდიდატის სამართლებრივი ნორმების ცოდნის შეფასებისას ვიხელმძღვანელე უშუალოდ კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების, სამართლებრივი პუბლიკაციის გაცნობით, რეკომენდატორების მოსაზრებებითა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ სამოქალაქო საქმეზე მიღებული ორი სასამართლოს გადაწყვეტილება, ერთი განსხვავებული აზრი და სამართლებრივი პუბლიკაცია. წარმოდგენილი გადაწყვეტილებებია: - საქმე №2ბ/6095-18 დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება; - საქმე №2ბ/6870-13 დავის საგანი: ბრძანების გათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა. სამართლებრივი პუბლიკაცია: დიფამაცია ქართული და ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით. კანდიდატმა გასაუბრებისას დასმული სამართლებრივი კითხვების (ასევე ზოგადი ხასიათის) მიმართულებების კვალობაზე გამოავლინა ეროვნული სამოქალაქო კანონმდებლობის, კონსტიტუციური სამართლის სათანადო ცოდნის დონე, ასევე ადამიანის უფლებებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმართულებით. კანდიდატმა სწორი მიმართულებებით ისაუბრა სამართლის წყაროებზე, პრინციპებზე, ადამიანის უფლებებზე, სამართლის დარგებზე. კანდიდატმა იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციის ეროვნული საკანონმდებლო დონეზე გამოყენების თავისებურებებზე. კანდიდატმა იმსჯელა ჩვეულებისა და მორალის ურთიერთმიმართებაზე, განმარტა, თუ რატომ მიიჩნევა ჩვეულებები სამართლის წყაროდ. თუმცა იქვე, მეტნაკლები სიზუსტით იმსჯელა ჩვეულების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობებში გამოყენებაზე, რაზეც აღნიშნა, რომ კონსტიტუცია უფრო ეფუძნება ძირითად პრინციპებს, როგორიცაა დემოკრატია, სამართლებრივი წესრიგი, სამართლებრივი სახელმწიფო და ა.შ. ამდენად ჩვეულებასთან პარალელს ვერ გაავლებს, ამასთან, აღნიშნა, რომ საკითხი საკმაოდ დასაფიქრებელია. ასევე ისაუბრა 1921 წლის კონსტიტუციაზე და იმ პრინციპულ ღირებულებებზე, რომლებსაც ეყრდნობოდა მაშინდელი

			კონსტიტუცია, განმარტა ხისტი კონსტიტუციის ცნება და ისაუბრა დღეს მოქმედ კონსტიტუაციაში კონსტიტუციის გადასინჯვის არსებულ მოდელზე. კანდიდატმა ისაუბრა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების სამემკვიდრეო უფლებებზე, მიაჩნია, რომ როდესაც დე ფაქტო ოჯახი და საერთო მეურნეობა არსებობს, საკითხი უნდა გადაწყდეს ნორმის ფართო ინტერპრეტაციის გზით და ა.შ. აღსანიშნავია, რომ გასაუბრებისას კანდიდატის მიმართ დასმული საკითხებზე მსჯელობისას, იგი უმეტეს შემთხვევაში ეფუძნებოდა ნორმების სწორად განმარტებას, ფართო და სხვადასხვა ჭრილში გაანალიზების მცდელობის გზით, თუმცა ზოგ შემთხვევაში კანდიდატის პასუხებში შეიმჩნეოდა ზოგადი ხასიათის მიმოხილვა და აკლდა მეტი კონკრეტიკა და სიზუსტე დასმული საკითხთან მიმართებით, მაგალითად, როგორებიც იყო საკითხები: სისხლისსამართლებრივ დელიქტებთან დაკავშირებით, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ უფლებების ჭრილში ადმინისტრაციული საქმეების დაქვემდებარების პრეცედენტული ასპექტები, აგრეთვე პარლამენტის რეგლამენტის მიღების კონსტიტუციური დანაწესის საკითხი და სხვა. ასევე, ვფიქრობ ბუნდოვნად და არადამაჯერებლად ჩანდა მისი განმარტება მოსამართლის მიერ წერილობითი განსხვავებული აზრის დანიშნულებაზე, სადაც გაჟღერებული პოზიცია ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ განსხვავებული აზრის საჭიროებას მიიჩნევს უფრო ე.წ. ,,სენსიტიურ" საქმეებთან მიმართებით და სხვა. ქეთევან მესხიშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სპეციალიზაციით. კანდიდატი არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოქმედი მოსამართლე. მას ასევე გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით კი ირკვევა, რომ ქეთევან მესხიშვილს სამართლის სამივე დარგში კარგ თეორიულ ცოდნას ფლობს. მხოლოდ სისხლის სამართალში უჭირდა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ზედმეტად ჰუმანურობის გამო, პირის მსჯავრდების საკითხთან დაკავშირებით იღებდა არასწორ გადაწყვეტილებას. გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი რეგულარულად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, ეროვნულ და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და სწორად იყენებს მათ თავის საქმიანობაში.

			კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ სამართლის ნორმები სწორად არის გამოყენებული და განმარტებული. სამართლებრივი სტატიის ანალიზით დგინდება, რომ მასში სწორად არის წარმოჩენილი პრობლემატური საკითხები და დასკვნაც დასაბუთებულად არის ჩამოყალიბებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მეორე ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36[4] მუხლის მე-8 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,სამართლის ნორმების ცოდნის" კრიტერიუმში ქეთევან მესხიშვილი უნდა შეფასდეს 18 (თვრამეტი) ქულით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატის გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი პუბლიკაციების გაცნობის ანალიზით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებითა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებებით. კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სასამართლოს გადაწყვეტილებებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია, რაც საკმაოდ დამაჯერებელს ხდის მათ. დასაბუთების მაღალი ხარისხი უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტის დაცვას, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. სამართლებრივ ნაშრომში მსჯელობა სრულყოფილად არის განვითარებული. ასევე, აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მსჯელობა იყო დამაჯერებელი და არგუმენტირებული. იგი აზრს ავითარებდა ანალიტიკური გააზრებით და ლოგიკური თანმიმდევრობით. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა ზოგიერთ შემთხვევაში, საკითხის ფართოდ განვრცობისა და სიღრმისეული მიმოხილვის მცდელობის პროცესში, შეიმჩნეოდა ძირითადი საკითხიდან გადახვევა, რაც გარკვეულწილად ტოვებდა არაკონკრეტული პასუხის შთაბეჭდილებას.

			იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებიდან ირკვევა, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში ამომწურავად განსაზღვრავდა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სწორ სამართლებრივ შეფასებას აძლევდა. როგორც ზემოთ ავღნიშნე, სისხლის სამართლის სწავლებისას კანდიდატს უჭირდა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეული იყო მისი ჰუმანური ბუნებით. კანდიდატს აქვს მოსამართლედ მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება. დანიშვნის დღიდან - დღემდე სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ამჟამად არის სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით ვთვლი, რომ კანდიდატს უდაოდ გააჩნია სამართლებრივი საკითხების საფუძვლიანი გაანალიზებისა და შესაბამისი არგუმენტირებული დასკვნის გამოტანის უნარი. ასევე, მისი განვლილი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე ვლინდება, რომ აქვს შესაბამისი პროფესიული გამოცდილება და მათ შორის სამოსამართლო გამოცდილებაც. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მეორე ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36[4] მუხლის მე-8 ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის" კრიტერიუმში ქეთევან მესხიშვილი უნდა შეფასდეს 19 (ცხრამეტი) ქულით.
წერის უნარი	**18**	**20**	კანდიდატის წერის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების და პუბლიკაციების, წერილობითი განსხვავებული აზრის გაცნობით, ასევე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მოსაზრებებით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით და შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ წერისას ქეთევან მესხიშვილი აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. გადაწყვეტილებებში და წერილობით განსხვავებულ აზრში, ისევე როგორც სამართლებრივ პუბლიკაციაში, ავითარებს ლოგიკურ ანალიზზე დაფუძნებულ მსჯელობას და ასაბუთებს თავის დასკვნას.

			შესწავლილ მასალაში მნიშვნელოვანი გრამატიკული ხარვეზები არ გამოვლენილა. რეკომენდატორებიც უთითებენ, რომ კანდიდატს აქვს წერისას აზრის გადმოცემის მაღალი დონის არგუმენტირების უნარი. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ ქეთევან მესხიშვილი არის კარგი მკვლევარი, სულ ბოლოს გამოვიდა მისი სტატიების კრებული, სადაც მეცნიერულ დონეზე და ჭრილში მიმოიხილავს საინტერესო სამართლებრივ საკითხებს, გვთავაზობს პრაქტიკითა და დოქტრინალური მსჯელობით გაჯერებულ ანალიზს. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით კანდიდატი გადაწყვეტილების პროექტებში წერილობით თანმიმდევრულად და ზუსტად აყალიბებდა თავის მოსაზრებას. თუმცა, ვფიქრობ, უნდა აღინიშნოს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ერთ-ერთი გადაწყვეტილება, კერძოდ: საქმე №2ბ/6095-18, დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რომლის გაცნობისას ირკვევა, რომ გადაწყვეტილების სტრუქტურა არ არის სრულად შესაბამისობაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესთან, რომლითაც რეგლამენტირებულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სტრუქტურული აგებულება. დასახელებულ გარემოებებზე დაყრდნობით მივიჩნევ, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36⁴ მუხლის მე-8 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ „წერის უნარის“ კრიტერიუმში ქეთევან მესხიშვილი უნდა შეფასდეს 18 (თვრამეტი) ქულით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე საჯარო მოსმენის დროს კანდიდატზე დაკვირვებით, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მოსაზრებებით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით. კანდიდატმა გასაუბრებისას გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი. კანდიდატი მეტყველებს მკაფიოდ, გაწონასწორებულად, გამართულად და აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, არ შეინიშნება

			აღელვება. კანდიდატს გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და მიმღებლობა. რეკომენდატორებიც უთითებენ კანდიდატის კომუნიკაციის ძალიან კარგ, აზრის სტრუქტურულად და აკადემიურად გადმოცემის უნარებზე. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებიდანაც ირკვევა, რომ კანდიდატის ზეპირი კომუნიკაცია დადებითად არის შეფასებული. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,ზეპირი კომუნიკაციის უნარის" კრიტერიუმში ქეთევან მესხიშვილი უნდა შეფასდეს 15 (თხუთმეტი) ქულით.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	კანდიდატის პროფესიული თვისებებისა და მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის შეფასებისას ვიხელმძღვანელე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებით. ამ მონაცემების, ასევე საჯარო მოსმენისას მიღებული ინფორმაციის გაცნობისა და ანალიზის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ რომ ქეთევან მესხიშვილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არის პუნქტუალური, უაღრესად შრომისმოყვარე, გულმოდგინე და მიზანდასახული. აქვს საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადების უნარი, მოწესრიგებული, ზრდილობიანი და კორექტულია მხარეებთან ურთიერთობისას. მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ყოველივე აღნიშნული მაძლევს დასკვნის შესაძლებლობას, რომ კანდიდატს გააჩნია სასამართლო სხდომებს სათანადოდ წარმართვის უნარი. რეკომენდატორები დამატებით გამოარჩევენ კანდიდატის პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში მის მაღალპროფესიულ თვისებებს. სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ ქეთევან მესხიშვილს საანგარიშო პერიოდში

			საპროცესო ვადების დაცვით მომზადებული აქვს საქმეთა -73,8%, ვადის დარღვევით -26,2%; ამავე პერიოდში, გადაწყვეტილებათა 75% მომზადდა ვადის დაცვით, ვადის დარღვევით - 25%; გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის კუთხით, გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა გასაჩივრებულ საქმეთა 90,2%, ხოლო შეცვალა 9,8%; საანგარიშო პერიოდში (863 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 916 საქმე, დღეში საშუალოდ 1 საქმემდე. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად მივიჩნევ, რომ კანდიდატს უმეტესწილად გააჩნია სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულია, საქმის მომზადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადებისას მეტწილად პროდუქტიული და სწრაფია, რაც წარმოდგენილი მონაცემების შესაბამისად ვლინდება საქმის განხილვის დადგენილი ვადების დაცვაში, რაც ასევე მიუთითებს კანდიდატის შესაბამის მენეჯერულ თვისებებზე. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე ნაწილის ,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 ნაწილის ,,ე" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში" კრიტერიუმში ქეთევან მესხიშვილი უნდა შეფასდეს 14 (თოთხმეტი) ქულით.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესში მასზე დაკვირვებით. ქ. მესხიშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო ადმინისტრაციული სპეციალიზაციით; კანდიდატს ჩაბარებული აქვს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის მიმართულებით. ასევე ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა. წარმატებით აქვს გავლილი სსიპ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სასწავლო კურსი. კანდიდატი მონაწილეობდა მრავალრიცხოვან პროფესიული წვრთნის პროგრამებში: შრომის სამართლის საერთაშორისო სტანდარტები - სასწავლო კურსი. - შრომითი მიგრაცია და ევროპული სამართალი - ტრენინგი. - მომხმარებელთა უფლებები ევროკავშირის სამართლის მიხედვით - ევროპის

			მოსამართლეთა სასწავლო ქსელი - ტრენინგი. - სამოქალაქო სამართლის აქტუალური საკითხები - სასამართლო - ტრენინგი (გერმანია. დრეზდენი). - დისტანციური სწავლების მეთოდოლოგია, ხორვატიის სამოსამართლო სწავლების ცენტრი - ტრენინგი - ბუნდოვანი სამოქალაქო სამართლებრივი საკითხების ანალიზი გერმანული პერსპექტივით - დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლო - სტაჟირება. - კანდიდატთა და მოსამართლეთა განგრძობადი განათლება - ტრენინგი და სხვა. გარდა ამისა, როგორც აღინიშნა კანდიდატი ეწევა აქტიურ სამეცნიერო/პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. წარმოდგენილი ინფორმაციისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით აშკარაა, რომ ის არის შრომისმოყვარე და ღია სიახლეების მიმართ, გააჩნია თვითგანვითარების უნარი, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი და მათი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა, რაც დასტურდება მის მიერ განხილულ საქმეთა და აკადემიური საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის გაცნობისა და ანალიზის შედეგად. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მეორე ნაწილის ,,ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36⁴ მუხლის მე-8 ნაწილის ,,ვ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნის" კრიტერიუმში ქეთევან მესხიშვილი უნდა შეფასდეს 5 (ხუთი) ქულით.
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**	პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესში მასზე დაკვირვებით. კანდიდატს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, აღნიშნული სემინარები შეეხებოდა შემდეგ თემებს: ადამიანის უფლებათა სტანდარტები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით; - ტრენინგი ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ 1980 წლის ჰააგის კონვენციის მიხედვით; - სამეწარმეო სამართალი; - ინტელექტუალური სამართალი და სასამართლო პრაქტიკა; - საერთაშორისო

			შრომითი სტანდარტები და საქართველოს შრომის კოდექსი; - სამოსამართლო ეთიკა; - ბავშვზე ზრუნვისა და კეთილდღეობის სამართლებრივი ასპექტები; - რელაციის მეთოდი, გადაწყვეტილების სტრუქტურა და დასაბუთება; - უსაფუძვლო გამდიდრება; - საავტორო სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის სამართალი; - ბავშვზე ზრუნვის სამართლებრივი ასპექტები; - იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი აღჭურვა; - სამოქალაქო საპროცესო სამართლის აქტუალური საკითხები; - თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგია და სხვა. კანდიდატი ავტორია/თანავტორია არაერთი სახელმძღვანელოს, სტატიისა თუ სამეცნიერო პუბლიკაციის: - „კერძო სამართლის აქტუალური საკითხები“ (მონოგრაფია), თბილისი, 2020 . - „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება“, თბილისი, 2020. - (რიდერი, თანაავტორი) „გადახდისუუნარობის სამართალი“, თბილისი, 2020 - (რიდერი, თანაავტორი) ბ. პუბლიკაციები . 2020 - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები (თანაავტორი), 2016წ. - შრომის სამართლის სახელმძღვანელო (თანაავტორი), თბილისი 2016 წ. - „ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში“ (თანაავტორი) თბილისი, 2010 წ. - პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის (თანაავტორი), თბილისი, 2010 წელი. - აღმოსავლეთ ქვეყნების კონსტიტუციები (თანაავტორი) თბილისი, 2007 წ. და სხვა. ქ. მესხიშვილი პედაგოგიური საქმიანობის კუთხით უძღვება არაერთ სალექციო კურსს: - 2020 წლიდან „გადახდისუუნარობის საქმის წარმოება“ - მოწვეული ექსპერტი GIZ, პრაქტიკოსი იურისტებისა და მოსამართლეებისათვის; - 2020 წლიდან - შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები და პანდემია - სამართლის ინსტიტუტის მოწვეული ექსპერტი; - 2020 წლიდან - პანდემია და ხელშეკრულებების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება, მოწვეული ექსპერტი EWMI PROloG; - 2016 წლიდან - „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება“ - მოწვეული

			ექსპერტი ჟურნალისტებისათვის, ადვოკატებისათვის (სემინარების ორგანიზატორი: OSGF, HSoJ, იურიდიული ფირმების ასოციაცია); - 2016 წლიდან - „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი შრომის სამართალი“ - მოწვეული ექსპერტი მოსამართლეებისათვის (სემინარების, სამუშაო ჯგუფის ორგანიზატორი: ILO, HSoJ); - 2016 წლიდან - „სამეწარმეო სამართალი“ - მოსამართლეებისათვის, სასამართლოს მოხელეებისათვის (სემინარების ორგანიზატორი: GIZ, EWMI PROloG, HSoJ); - 2016 წლიდან - „სამოსამართლო ეთიკა“ - მოსამართლეებისათვის, სასამართლოს მოხელეებისათვის (სემინარების ორგანიზატორი: GIZ, EWMI PROloG, HSoJ); - 2016 წლიდან - „საკუთრების უფლების მნიშვნელოვანი ასპექტები“ - მოწვეული ექსპერტი პრაქტიკოსი იურისტებისათვის (სემინარების ორგანიზატორი: იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრი); - 2015 წლიდან - „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვა“, მოწვეული ექსპერტი მოსამართლეებისათვის, მოსამართლის თანაშემწეებისათვის (სემინარების ორგანიზატორი: CoE, HSoJ); - 2015 წლიდან - „მემკვიდრეობითი სამართალი“, „სანოტარო საქმე და სასამართლო პრაქტიკა“, „ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი ასპექტები“ - მოწვეული ექსპერტი ნოტარიუსებისათვის (სემინარების ორგანიზატორი - საქართველოს ნოტარიუსთა პალატა); - 2014 წლიდან - სახელშეკრულებო სამართალი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი (სალექციო კურსების ორგანიზატორი: თავისუფალი უნივერსიტეტი) და სხვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნა, რომ კანდიდატს დამსახურებულად გააჩნია მაღალი ავტორიტეტი იურიდიული პროფესიის საზოგადოებაში. ამასთან პროფესიული აქტივობის ღონისძიებებში მას აქტიურად შეუძლია ღიად და თავისუფლად გამოხატოს საკუთარი პოზიცია და შეხედულებები, აქვს ინიციატივის გამოჩენის, იდეებისა და წინადადებების წამოყენების უნარები და ა.შ. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი აკმაყოფილებს ,,საერთო

			სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მეორე ნაწილის ,,ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36⁴ მუხლის მე-8 ნაწილის ,,ზ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული აქტივობის“ კრიტერიუმში ქეთევან მესხიშვილ უნდა შეფასდეს 5 (ხუთი) ქულით.
ქულათა ჯამი	94	100	

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

ხელმოწერა:

თარიღი : 27.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

დიმიტრი გვრიტიშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ქეთევან მესხიშვილი?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
დიმიტრი გვრიტიშვილი

2021 წლის 17 ივნისი, ქალაქი თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ქეთევან მესხიშვილის კანდიდატურის წარდგენაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ქეთევან მესხიშვილმა.

კანდიდატების შესახებ მოპოვებული წერილობითი, ასევე - მათი საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2021 წლის 28 მაისს, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შევაფასე პროცედურაში მონაწილე ყველა, 33 კანდიდატი, მათ შორის - ქეთევან მესხიშვილი, რის შედეგადაც მივიჩნიე, რომ ქეთევან მესხიშვილი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას მივანიჭე 86 ქულა, რაც ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 86%-ს შეადგენს.

საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულების თანახმად, აღნიშნული პროცედურის შემდეგ ეტაპზე გადავიდა 9 კანდიდატი: გიორგი გოგიაშვილი, გოჩა აბუსერიძე, ლევან თევზაძე, ქეთევან მესხიშვილი, გიორგი შავლიაშვილი, რევაზ ნადარაია, ბიძინა სტურუა, ეკა ზარნაძე და ლაშა ქოჩიაშვილი.

მითითებული განკარგულება გასაჩივრდა ერთ-ერთი კანდიდატის - ირაკლი ქსოვრელის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში; თუმცა, პალატის 2021 წლის 14 ივნისის №სსკ-01-21 გადაწყვეტილებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განკარგულება დარჩა უცვლელი.

შესაბამისად, ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2021 წლის 17 ივნისს საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა მითითებულ 9 კანდიდატთან დაკავშირებით, მათი საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად, რის შედეგადაც მხარი არ დავუჭირე ქეთევან მესხიშვილის კანდიდატურის წარდგენას, შემდეგ გარემოებათა გამო:

კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით საბჭოს ყველა წევრის მიერ შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით, ქეთევან მესხიშვილმა დაიკავა მე-4 ადგილი (გიორგი გოგიაშვილის, გოჩა აბუსერიძის და ლევან თევზაძის შემდეგ).

კანდიდატთა ჩემი ინდივიდუალური შეფასებების შედეგების თანახმად, ქეთევან მესხიშვილი არ მოხვდა საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატებს შორის, კერძოდ:

მისთვის მინიჭებული 86 ქულით, ქეთევან მესხიშვილმა დაიკავა მე-19 ადგილი სხვა 3 კანდიდატთან (თამარ ბურჯანაძე, გიორგი კერატიშვილი, სალომე გველესიანი) ერთად; ხოლო მასზე აღმატებული ქულებით შევაფასე 18 კანდიდატი (სიმონ ჩხაიძე - 98 ქულით, გოჩა აბუსერიძე - 97 ქულით, ლევან თევზაძე - 96 ქულით, რევაზ ნადარაია - 95 ქულით, თეა ძიმისტარაშვილი - 93 ქულით, ლაშა ქოჩიაშვილი - 93 ქულით, გიორგი გოგიაშვილი - 92 ქულით, ბიძინა სტურუა - 92 ქულით, ნინო სანდოძე - 92 ქულით, ლავრენტი მაღლაკელიძე - 92 ქულით, გიორგი შავლიაშვილი - 92 ქულით, ნოდარ პაპუკაშვილი - 91 ქულით, გია ბერაია - 90 ქულით, ეკა ზარნაძე - 90 ქულით, ზაალ მარუაშვილი - 90 ქულით, თინა ვაშაყმაძე - 89 ქულით, თამარ ოქროპირიძე - 88 ქულით, სალომე სამხარაძე - 88 ქულით).

გარდა ამისა, მივიჩნიე, რომ ყველა დანარჩენი 32 კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო ქეთევან მესხიშვილი - აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ე.ი. - ის არის ერთადერთი კანდიდატი, რომელიც კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით არ შემიფასებია სრულად დადებითად.

გავითვალისწინე კიდევ ერთი გარემოება:

ქეთევან მესხიშვილმა 2021 წლის 20 მაისს საკუთარ ფეისბუქ-გვერდზე გამოაქვეყნა სტატუსი, რომლითაც ,,ძალიან მიზანშეუწონლად" მიიჩნია მოსამართლეთა 26 მაისს დაგეგმილი კონფერენციის ჩატარება, იმ მოტივით, რომ ეს ხელს შეუშლიდა ,,ქვეყნის სამართლებრივ განვითარებას". კონფერენცია მაინც ჩატარდა, სასამართლო სისტემისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხის (საბჭოს 4 ახალი წევრის არჩევა) გადასაწყვეტად, ქეთევან მესხიშვილი კი მას არ დასწრებია.

პრობლემა ის კი არ არის, რომ კანდიდატმა გამოთქვა საკუთარი აზრი კონფერენციის მიზანშეწონილობის შესახებ: გამოხატვის თავისუფლება დაცულია საქართველოს კანონმდებლობით; ქეთევან მესხიშვილის შედგომმა ქმედებამ დაადასტურა მისი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება სასამართლოსთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან მიმართებით, კერძოდ:

მისი აზრი კონფერენციის ,,ძალიან მიზანშეუწონლობის" შესახებ განპირობებული იყო სასამართლო სისტემით დაინტერესებული სხვადასხვა სუბიექტის (არასამთავრობო სექტორი, საქართველოს საერთაშორისო პარტნიორები და ა.შ.) მოწოდებებით (ეფუძნებოდა 2021 წლის 19 აპრილს გაფორმებულ, მნიშვნელოვან პოლიტიკურ შეთანხმებას) - შეჩერებულიყო დანიშვნები საბჭოსა და უზენაეს სასამართლოში, ,,რადიკალური" სასამართლო რეფორმის განხორციელებამდე. ამდენად, მოწოდება შეეხებოდა ორივე პროცედურის შეჩერებას; ქეთევან მესხიშვილმა კი, ერთი მხრივ, გააკრიტიკა საბჭოს წევრთა არჩევის პროცედურის გაგრძელება და უარი თქვა მასში მონაწილეობის მიღებაზე, მეორე მხრივ კი - უდრტვინველად გააგრძელა და დღემდე აგრძელებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის შერჩევის პროცედურაში მონაწილეობას, ალბათ იმიტომ, რომ ეს პროცედურა პირადად მისთვის არის სარგებლის მომტანი (ის გადასულია პროცედურის შემდგომ ეტაპზე, 9 საუკეთესო კანდიდატს შორის).

ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მოსამართლეობის კანდიდატის კეთილსინდისიერების ერთ-ერთი მახასიათებელია ,,დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა", რომლის მნიშვნელოვანი კომპონენტებია: პრინციპულობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა. ზემოთ აღნიშნული, აშკარად წინააღმდეგობრივი ქმედებები არ მეტყველებს ქეთევან მესხიშვილის პრინციპულობაზე, პიროვნულ სიმყარესა და შეუვალობაზე.

ყოველი აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ ქეთევან მესხიშვილი, კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის დონის გათვალისწინებით, არ აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დიმიტრი გვრიტიშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ვასილ მშვენიერაძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ქეთევან მესხიშვილი?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ვასილ მშვენიერაძის

2021 წლის 17 ივნისი
ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ქეთევან მესხიშვილის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ქეთევან მესხიშვილმა.

კანდიდატების შესახებ მოპოვებული წერილობითი, ასევე მათი საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2021 წლის 27 მაისს, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შევაფასე პროცედურაში მონაწილე 33 კანდიდატი, შესაბამისად, კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს და კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ქ. მესხიშვილს მივანიჭე 92 ქულა.

ზემოაღნიშნული, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულება გასაჩივრდა მოსამართლეობის კანდიდატის ირაკლი ქსოვრელის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. 2021 წლის 14 ივნისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, გასაჩივრებული განკარგულება დარჩა უცვლელი.

ამდენად, როგორც აღმოჩნდა, ქეთევან მესხიშვილი კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის დონის გათვალისწინებით, არა მხოლოდ მე შევაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით, არამედ - საბჭოს სხვა წევრებმაც. ზემოაღნიშნული შეფასების შედეგად, დავრწმუნდი, რომ ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს

მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რის გამოც მივიღე გადაწყვეტილება, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი წარედგინოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ზაზა ხარებავა

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ქეთევან მესხიშვილი?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ზაზა ხარებავა

ქ.თბილისი

17 ივნისი 2021წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის - ქეთევან მესხიშვილისათვის კენჭისყრის შედეგად მხარდაჭერის გადაწყვეტილების

დასაბუთება

როგორც ცნობილია, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლით დადგენილი წესით, 2020 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N-1/134 განკარგულებით გამოცხადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა.

შესარჩევ პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად 2020 წლის 9 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით მიმდინარე განაცხადების მიღების შედეგად დარეგისტრირდა 51 განაცხადი, საიდანაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის N-1/141 განკარგულების საფუძველზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობით შემდგომ ეტაპზე გადავიდა 50 კანდიდატი.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოში კანდიდატების მიერ წარმოდგენილი, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლის საქმიანობის შეფასების დეპარტამენტის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული და დამუშავებული ინფორმაციის საბჭოს წევრებისათვის შესასწავლად გადაცემის შემდგომ, 2020 წლის 10 დეკემბერიდან 2021 წლის 27 აპრილის ჩათვლით განხორციელდა კანდიდატად რეგისტრირებული პირების საჯარო მოსმენა.

ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონში 2021 წლის 1 აპრილს შესული ცვლილების საფუძველზე, მიმდინარე შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად დამატებით დარეგისტრირდა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 16 აპრილის N-1/34 განკარგულების შედეგად საჯარო მოსმენის ეტაპზე გადავიდა 2 კანდიდატი.

მიმდინარე შერჩევის პროცესის მსვლელობისას, საერთო ჯამში მონაწილე 52 კანდიდატიდან, თავიანთი კანდიდატურების მოხსნის, ასევე გასაუბრებაზე გამოუცხადებლობის გამო შეჩევის პროცედურიდან მოხსნის შედეგად, საბოლოოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევი პროცედურა - ორგანული კანონით დადგენილი

წესით ჩატარებული საჯარო მოსმენა, მათი შეფასება და ამ შეფასების დასაბუთება, განხორციელდა 33 კანდიდატის მიმართ, რომელთაგან 27 არის სამოსამართლო გამოცდილების მქონე, ხოლო 6 სამოსამართლო გამოცდილების არ მქონე კანდიდატი. ამასთან, აღნიშნული შეფასება და დასაბუთება განხორციელდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი წევრებიდან 12 წევრის მიერ (ერთი წევრი არ მონაწილეობდა პროცედურის დასაწყისში გაცხადებული თვითაცილების გამო, ხოლო ერთმა წევრმა არ მიიღო მონაწილეობა შეფასებისა და დასაბუთების პროცესში).

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესის მიხედვით: სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატები ფასდებიან 36^3 და 36^4 მუხლების შესაბამისი პუნქტებით გათვალისწინებული კთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების თითოეული მახასიათებლების მიხედვით და მათთვის განსაზღვრული ქულობრივი შეფასებებით, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატები, ამავე კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით - 35^1 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და შესაბამისი ქულობრივი შეფასებების მიხედვით.

ჩემს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე 33-ვე კანდიდატის შეფასებისა და დასაბუთების შედგენის პროცესი განხორციელდა ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნული შეფასებები და მათი დასაბუთებები, მათ შორის ქეთევან მესხიშვილის შეფასება და დასაბუთება, კანონით დადგენილი წესით, 2021 წლის 27 მაისს გადაეცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატს. ამასთან, იგი, როგორც მოქმედი მოსამართლე, შეფასებული იქნა, სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის განსაზღვრული კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით.

კანდიდატ ქეთევან მესხიშვილის შეფასებისას და ამ შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე ორგანული კანონით დადგენილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მახასიათებლებით, როგორებიცაა: ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა; დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ე) ფინანსური ვალდებულება და ასევე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებით, როგორებიცაა: ა) სამართლის ნორმების ცოდნა; ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; გ) წერის უნარი; დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი; ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; ზ) პროფესიული აქტივობა. ამასთან, ჩემს მიერ შედგენილი შეფასებისა და დასაბუთების პროცესში, გათვალისწინებული იქნა ზემოთჩამოთვლილი ყველა კრიტერიუმის მახასიათებლების შემადგენელი (განმსაზღვრელი) მრავლობითი კომპონენტი, რომელიც ორგანულ კანონში სახელდებითაა გაწერილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, განვახორციელე რა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაციის შესწავლა, მისი საჯარო მოსმენა, ორგანული კანონით განსაზღვრული თითოეული კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით შეფასება და შესაბამისი დასაბუთება, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებდა კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის ცალკეული მახასიათებლების შეფასებისა და მათი შეჯამების შედეგად, ჩემს

მიერ კანდიდატს განესაზღვრა 94 ქულა. (იხ. ჩემი შეფასება და დასაბუთება კანდიდატის მიმართ, რომელიც საჯაროდ განთავსებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე).

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად: ,,შემდგომ ეტაპზე გადადის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით საუკეთესო შედეგის მქონე იმდენი კანდიდატი, რამდენი ვაკანსიაც არის გამოცხადებული. ამასთანავე, კანდიდატი მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავა შემდგომ ეტაპზე, თუ კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მის მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამი ქულების მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტია და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10-მა წევრმა მაინც მიიჩნია, რომ იგი აკმაყოფილებს ან სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს".

ამდენად, ორგანული კანონის შესაბამისად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებებისა და დასაბუთებების შეჯერების შედეგად, გამოვლინდა 9 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი, რის შედეგადაც კანონით დადგენილი წესით, 2021 წლის 1 ივნისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო N-1/41 განკარგულება, რომლის შესაბამისად მომდევნო ეტაპზე თანმიმდევრულად გადავიდნენ შემდეგი კანდიდატები: 1. გიორგი გოგიაშვილი; 2. გოჩა აბუსერიძე; 3. ლევან თევზაძე; 4. ქეთევან მესხიშვილი; 5. გიორგი შავლიაშვილი; 6. რევაზ ნადარაია; 7. ბიძინა სტურუა; 8. ეკა ზარნაძე; 9. ლაშა ქოჩიაშვილი. დანაჩენი კანდიდატები, შესაბამისად ვერ გადავიდნენ შემდგომ ეტაპზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის N-1/41 განკარგულება ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[3] მუხლით დადგენილ ვადაში და წესით, გასაჩივრდა ერთი (შერჩევის შემდგომ ეტაპზე ვერ გადასული) კანდიდატის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში, რომლის 2021 წლის 14 ივნისის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის N-1/41 განკარგულება დატოვებული იქნა უცვლელად.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით: ,,ამ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად შემდგომ ეტაპზე გადასულ კანდიდატთა სიისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულების გამოქვეყნების შემდეგ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის მიზნით, აღნიშნულ სიაში მყოფ კანდიდატებს საბჭოს ღია სხდომაზე კენჭი სათითაოდ, შემდეგი წესის დაცვით ეყრებათ: პირველ რიგში, კენჭი ეყრება კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით ამ კანდიდატებს შორის საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატს, შემდეგ კი იმავე პრინციპის დაცვით, თანამიმდევრობით ეყრებათ კენჭი დანარჩენ კანდიდატებს. ამასთანავე, თუ რომელიმე კანდიდატმა კენჭისყრისას ვერ მოიპოვა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერა, დანარჩენ კანდიდატებს კენჭი აღარ ეყრებათ. . . კანდიდატი საქართველოს პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი."

ზემოთჩამოთვლილი პროცედურების შეჯამების შედეგად გამოვლინდა, რომ ჩემს მიერ შეფასებული კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დანარჩენი წევრების მიერაც შეფასებულია მაღალი შეფასებებით, რაც დასტურდება მათ მიერ გამოქვეყნებული შეფასებებისა და დასაბუთებების გაცნობის შედეგად, კერძოდ: კანდიდატის შეფასებისა და დასაბუთების პროცესში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს 10 წევრი (ჩემი ჩათვლით) თვლის, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით მისი შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამია - 1129, რაც მაქსიმალური ქულების 94.08% შეადგენს. (იხ. საბჭოს წევრების შეფასებები და დასაბუთებები, რომლებიც საჯაროა და განთავსებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე). ამ შედეგების მიხედვით ქეთევან მესხიშვილი კანდიდატთა სარეიტინგო სიაში იკავებს მე-4 ადგილს და შესაბამისად, მის კანდიდატურას კენჭი ეყრება კანონით დადგენილი თანმიმდევრობით - მეოთხე რიგში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შეჯერებისა და გაანალიზების შედეგად მიმაჩნია, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი ორგანული კანონით გათვალისწინებული კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებთან მისი პიროვნული და პროფესიული შესაბამისობით, სრულად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის. ამასთან, აღვნიშნავ, რომ არც შერჩევის მიმდინარე პროცესში და არც კენჭისყრის მომენტამდე, არ გამოვლენილა რაიმე ისეთი გარემოება, რაც მომცემდა საფუძველს ჩემს მიერ კანდიდატის შეფასებისა და ამ შეფასების დასაბუთებაში ჩამოყალიბებული აზრის საწინააღმდეგო აზრის შექმნისათვის, ან გავლენას მოახდენდა ჩემს მიერ კენჭისყრის დროს მისაღებ საბოლოო გადაწყვეტილებაზე. შესაბამისად, ვთვლი, რომ კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ ასარჩევად წარდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პარლამენტისათვის, რის გამოც კენჭისყრისას მხარს ვუჭერ მის კანდიდატურას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი,

ზაზა ხარებავა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>თეა ლეონიძე</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ქეთევან მესხიშვილი?
დიახ არა

17 ივნისი, 2021 წელი

ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ქეთევან მესხიშვილის კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურაში მონაწილეობა მიიღო ქეთევან მესხიშვილმა.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული წერილობითი და საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2021 წლის 28 მაისს, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატი - ქეთევან მესხიშვილი, რის შედეგადაც მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას მივანიჭე 95 ქულა, რაც ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 95%-ს შეადგენს.

საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულების თანახმად, აღნიშნული პროცედურის შემდეგ ეტაპზე გადავიდა 9 კანდიდატი: გიორგი გოგიაშვილი, გოჩა აბუსერიძე, ლევან თევზაძე, ქეთევან მესხიშვილი, გიორგი შავლიაშვილი, რევაზ ნადარაია, ბიძინა სტურუა, ეკა ზარნაძე და ლაშა ქოჩიაშვილი.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2021 წლის 17 ივნისს საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა მითითებულ 9 კანდიდატთან დაკავშირებით, მათი საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად, რომლის შედეგად მივიღე გადაწყვეტილება - საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინოს ქეთევან მესხიშვილის კანდიდატურა, შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამმა შეადგინა 1129 ქულა და კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის

მიხედვით გავიდა მეოთხე ადგილზე. შესაბამისად, ქეთევან მესხიშვილი, კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, არა მხოლოდ მე შევაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით, არამედ - საბჭოს წევრების უმრავლესობამაც, რამაც დამარწმუნა, რომ ქეთევან მესხიშვილი აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

თეა ლეონიძე
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>თამარ ონიანი</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021	
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ქეთევან მესხიშვილი?	
დიახ	არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
თამარ ონიანი

2021 წლის 17 ივნისი, ქალაქი თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ქეთევან მესხიშვილის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ქეთევან მესხიშვილმა.

კანდიდატების შესახებ მოპოვებული წერილობითი და მათი საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2021 წლის 27 მაისს შევაფასე პროცედურაში მონაწილე 33 კანდიდატი, მათ შორის, ქეთევან მესხიშვილი, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, რის შედეგადაც მივიჩნიე, რომ ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას 100 ქულიდან მივანიჭე 94 ქულა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულების თანახმად, აღნიშნული პროცედურის შემდეგ ეტაპზე გადავიდა 9 კანდიდატი: გიორგი გოგიაშვილი, გოჩა აბუსერიძე, ლევან თევზაძე, ქეთევან მესხიშვილი, გიორგი შავლიაშვილი, რევაზ ნადარაია, ბიძინა სტურუა, ეკა ზარნაძე და ლაშა ქოჩიაშვილი.

2021 წლის 17 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა მითითებული 9 კანდიდატის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით.

კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით ქეთევან მესხიშვილი შევაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით. საბჭოს წევრთა უმრავლესობამ ასევე მიიჩნია, რომ ქეთევან მესხიშვილი სრულად

აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რის გამოც მივიღე გადაწყვეტილება - წარედგინოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად.

თამარ ონიანი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ირაკლი ბონდარენკო

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ქეთევან მესხიშვილი?
დიახ (✓) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ირაკლი ბონდარენკო

2021 წლის 17 ივნისი, ქალაქი თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ქეთევან მესხიშვილის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ქეთევან მესხიშვილმა.

კანდიდატების შესახებ მოპოვებული წერილობითი, ასევე - მათი საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2021 წლის 28 მაისს, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შევაფასე პროცედურაში მონაწილე ყველა, 33 კანდიდატი, მათ შორის - ქეთევან მესხიშვილი, რის შედეგადაც მივიჩნიე, რომ ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას მივანიჭე 92 ქულა.

საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულების თანახმად, შემდეგ ეტაპზე გადავიდა 9 კანდიდატი: გიორგი გოგიაშვილი, გოჩა აბუსერიძე, ლევან თევზაძე, ქეთევან მესხიშვილი, გიორგი შავლიაშვილი, რევაზ ნადარაია, ბიძინა სტურუა, ეკა ზარნაძე და ლაშა ქოჩიაშვილი.

აღნიშნული განკარგულება უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გაასაჩივრა კანდიდატმა - ირაკლი ქსოვრელმა. პალატის 2021 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განკარგულება დარჩა უცვლელი.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი პროცედურის დაცვით, 2021 წლის 17 ივნისს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ჩაატარა ღია კენჭისყრა 9 კანდიდატთან დაკავშირებით, მათი საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ქეთევან მესხიშვილი კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით მე-4 ადგილზე მყოფი კანდიდატია, რაც მისი მაღალი კომპეტენტურობის მაჩვენებელია და შესაბამისად მან მოიპოვა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა დიდი უმრავლესობის მხარდაჭერა.

ღია კენჭისყრაზე ქეთევან მესხიშვილს დავუჭირე მხარი. ვინაიდან მივიჩნიე, რომ მისი სამართლის ნორმების ცოდნის დონე, კომპეტენცია, პროფესიული გამოცდილება, პროფესიული თვისებები, აკადემიური მიღწევები, გამოვლენილი უნარ-ჩვევები მაღალია და იგი უნდა წარედგინოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად.

ირაკლი ბონდარენკო

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან გზირიშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021	
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ქეთევან მესხიშვილი?	
დიახ	არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

ბ-ნო ნიკოლოზ,

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ლევან გზირიშვილის მიერ კენჭისყრისას დაფიქსირებული გადაწყვეტილების დასაბუთებას უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის ქეთევან მესხიშვილის თაობაზე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად კანდიდატის - ქეთევან მესხიშვილის, შერჩევის დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 07 ოქტომბრის N1/134 განკარგულების საფუძველზე დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენის საფუძველზე განხორციელდა კონკურსში მონაწილე კანდიდატთა შეფასება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით შეფასდა კანიდატის - ქეთევან მესხიშვილის, კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმთან შესაბამისობა შეფასდა ამავე კანონის 36[3] მუხლით გათვალისწინებულ თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით, კერძოდ, *პიროვნული კეთილსიდნისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება.* მოძიებული ინფორმაციის შესწავლისა და კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის საფუძველზე მივიჩნიე, რომ ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით ქეთევან მესხიშვილი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 36[3] მუხლით დადგენილი მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, *სამართლის ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა.* კანდიდატის მიერ

წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის, მოძიებული ინფორმაციის გაანალიზებისა და საჯარო მოსმენის საფუძველზე ქეთევან მესხიშვილს მივანიჭე ამავე კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლისათვის განსაზღვრული სათანადო ქულა (ჯამში 97 ქულა).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე კანდიდატის მიერ გამოვლენილი თვისებების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ქეთევან მესხიშვილს აქვს სათანადო პროფესიული გამოცდილება და კომპეტენცია, ამასთან, მას ახასიათებს მოსამართლის მაღალი წოდების შესაფერისი ქცევა, ასევე პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კოლეგებს შორის. შესაბამისად, მივიჩნევ, რომ ქეთევან მესხიშვილი სათანადო პასუხისმგებლობითა და კეთილსინდისიერებით შეასრულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებას, რის გამოც მხარი დავუჭირე კანდიდატის წარდგენას საქართველოს პარლამენტის წინაშე.

ლევან გზირიშვილი
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

17 ივნისი 2021 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ნინო ქადაგიძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ქეთევან მესხიშვილი?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ქეთევან მესხიშვილის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - **ქეთევან მესხიშვილი.**

პროცედურაში მონაწილე კანდიდატის შესახებ ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით მოპოვებული ინფორმაციის გაცნობისა და საჯარო მოსმენის შედეგების შესაბამისად, ამავე ორგანული კანონით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, მოვახდინე კანდიდატის შეფასება.

კანდიდატთან დაკავშირებული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, დადასტურებულად მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $36^3.1$ მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს.

კანდიდატი ასევე შევაფასე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $36^3.2$ მუხლით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების - სამართლის ნორმების ცოდნის, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის, წერის უნარის, ზეპირი კომუნიკაციის უნარის, პროფესიული თვისებების, აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის მიხედვით. მითითებული მახასიათებლების ანალიზით და შეჯერებით, თითოეული მახასიათებლისათვის „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული წესით მინიჭებული ქულების შეჯამებით, კომპეტენტურობის კრიტერიუმში კანდიდატმა დააგროვა 95 ქულა, რაც მითითებული კრიტერიუმისათვის დადგენილი ქულათა მაქსიმალური ოდენობის გათვალისწინებით, ქმნის კანდიდატის საუკეთესოდ წარმოჩენის შესაძლებლობას და თავის მხრივ, მაძლევს კანდიდატის მხარდაჭერის საფუძველს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის აუცილებელ მოთხოვნებს და ვიღებ გადაწყვეტილებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე არჩევის მიზნით, საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად მხარი დავუჭირო **ქეთევან მესხიშვილის** კანდიდატურას.

ნინო ქადაგიძე

17.06.21

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქეთევან ცინცაძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ქეთევან მესხიშვილი?
(დიახ) არა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის **ქეთევან მესხიშვილის** კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

17 ივნისი, 2021 წელი

ქ. თბილისი

2021 წლის 17 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი დავუჭირე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის **ქეთევან მესხიშვილის** კანდიდატურის წარდგენას, შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის ქეთევან მესხიშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციის და კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების საფუძველზე, მივედი დასკვნამდე, რომ კანდიდატი - ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი ჩემს მიერ შეფასდა მაღალი შეფასებით - 94 ქულით (94%) (იხ. ქეთევან ცინცაძის - 2021 წლის 28 მაისის შეფასების დასაბუთება - კანდიდატის ქეთევან მესხიშვილის შესახებ).

ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დანარჩენმა წევრებმა (შეფასების პროცედურაში მონაწილე წევრები) მიიჩნიეს, რომ კანდიდატი - ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს (10 წევრი)/აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს (2 წევრი). კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, კანდიდატი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ მიჩნეულ იქნა კომპეტენტურად, რასაც მოწმობს მის მიერ მიღებული მაღალი შეფასებები (საერთო ჯამში, მაქსიმალური შეფასების - 94.08%).

ამდენად, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მივიჩნევ, **რომ კანდიდატი - ქეთევან მესხიშვილი** სრულად აკმაყოფილებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმს და იგი სრულად შეესაბამება ამ თანამდებობას, რის გამოც, მხარს ვუჭერ მისი კანდიდატურის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ქეთევან ცინცაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>თამარ ღვამიჩავა</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ქეთევან მესხიშვილი?
დიახ არა

თამარ ღვამიჩავა - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ქეთევან მესხიშვილის შეფასება.**

2020 წლის 10 დეკემბერს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატად დარეგისტრირდა 50 კანდიდატი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულების საფუძველზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი არის მოქმედი მოსამართლე, შესაბამისად მისი შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით სამოსამართლო გამოცილების მქონე კანდიდატის შეფასებისათვის დადგენილი წესის საფუძველმე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ ქეთევან მესხიშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას გავითვალისწინე ზემოაღნიშნული კრიტერიუმის მახასიათებლები. შესაბამისად კანდიდატი შეფასდა ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 მახასიათებლის მიხედვით და ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე. ასევე კანდიდატის შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ქულის დასაბუთებულობის საფუძველზე.

კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ჩანს, რომ იგი ფინანსურ და სხვა მოქალაქეობრივ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმა (მოძრაობის წესების დარღვევების თაობაზე) კანდიდატის მიერ გადახდილია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. კანდიდატს აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა, იმიჯი. იგი გამოირჩევა პრინციპულობით, მედეგობით, სამართლიანობით, მიუკერძოებელობით, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კორექტული და თავდაჭერილია. მაღალი რეპუტაციით სარგებლობს, როგორც მოსმართლეების ასევე სამენიერო საზოგადოებასა და სტუდენტებს შორის. ასევე, საჯარო მოსმენის შედეგად არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. შესაბამისად, კეთილსინდისიერების

კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის საჯარო მოსმენის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმულ სამართლებრივ შეკითხვებზე პასუხები იყო თანმიმდევრული, დასაბუთებული და ეფუძნებოდა სწორ სამართლებრივ შეფასებებს.
კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და ასევე მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, კარგად იცნობს კანონმდებლობას, როგორც მატერიალურ ასევე პროცესუალურ ნორმებს, ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. მოსამართლეობის კანდიდატი მის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას.
საჯარო გასაუბრებისას ნათლად წარმოჩინდა, რომ მოსამართლეს აქვს ჩამოყალიბებული ხედვა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ, რაც საგულისხმო და დასაბუთებულია.

კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისათვის ვიხელმძღვანელე როგორც მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებით, ასევე საჯარო მოსმენისას წარმოჩენილი ცოდნის დონით. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. დასაბუთებისას, მოსამართლე ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას, უსადაგებს კანონის შესაბამის ნორმას და უზრუნველყოფს სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას. საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა კარგი ანალიტიკური აზროვნების, საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარი. ის, დამაჯერებლად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას აზრთა სხვადასხვაობისა თუ თანხვედრობის შემთხვევაში. კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა სამართლებრივ საკითხებზე.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად ვასკვნი, რომ მას გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობის უნარი. საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, ის გამართულად, თავდაჯერებულად და აუღელვებლად მეტყველებს. დასმულ საკითხთან დაკავშირებით აზრს გადმოსცემს დამაჯერებლად, ნათლად და გასაგებად. საუბრისას ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან გარემოებებზე. ასევე შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა.
კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე პიროვნება. აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, არის კორექტული, თავდაჭერილი, სასამართლო სხდომას უძღვება სათანადოდ, კანდიდატს აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა, იმიჯი, არის პრინციპული, მედეგი, კეთილსინდისიერი, მიუკერძოებელი, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს.

კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. მოპოვებული ინფორმაციით, კანდიდატს სამართლებრივ სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, რაც მიზნად ისახავს კვალიფიკაციის ამაღლებას და ცოდნის გაღრმავებას. კანდიდატი ახორციელებს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **ქეთევან მესხიშვილის** კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ჯამური შეფასება შეადგენს **97 ქულას.**

17. 06. 2021. ლ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>ირმა გელაშვილი</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ქეთევან მესხიშვილი?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს,
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ქეთევან მესხიშვილის წარდგინების შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ქეთევან მესხიშვილმა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში „ორგანული კანონი“) 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული წერილობითი, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, კანდიდატი - ქეთევან მესხიშვილი კანდიდატურას შევაფასე კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების მიხედვით. შეფასების შედეგად, მივიჩნიე, რომ ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას მივანიჭე 98 ქულა, რაც ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 98%-ს შეადგენს.

მითითებული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2021 წლის 17 ივნისს საბჭოს მიერ ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში კენჭი ეყარა ქეთევან მესხიშვილის კანდიდატურას მისი საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად. შედეგადად, ქეთევან მესხიშვილის კანდიდატურამ მოიპოვა საბჭოს 11 წევრის მხარდაჭერა. მიმაჩნია, რომ ქეთევან მესხიშვილი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. შესაბამისად, ღია სხდომაზე მხარი დავუჭირე საქართველოს პარლამენტისთვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად **ქეთევან მესხიშვილის** წარდგენას.

პატივისცემით,

ირმა გელაშვილი,
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

2021 წლის 17 ივნისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ქეთევან მესხიშვილი?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის ქეთევან მესხიშვილის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის N1/141 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ქეთევან მესხიშვილი.

აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოების შესახებ „საქართველოს ორგანული კანონის" (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, 2021 წლის 28 მაისს შევადგინე პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატის, მათ შორის, ქეთევან მესხიშვილის შეფასების დასაბუთება. აღნიშნული დასაბუთება დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანული კანონის 34^2 მუხლის საფუძველზე კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, ქეთევან მესხიშვილის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილ თვისებებსა და მახასიათებლებს. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად კი მივიჩნიე, რომ ქეთევან მესხიშვილი ორგანული კანონით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიმართ უნდა შეფასდეს დადებითად, შესაბამისად გავაკეთე დასკვნა, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას, ქეთევან მესხიშვილს ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო საკმაოდ მაღალი - 95 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 95%-ს შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის N1/41 განკარგულებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 9 კანდიდატი, მათ შორის,

ქეთევან მესხიშვილი. ამასთან, აღნიშნული განკარგულება უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გაასაჩივრა კანდიდატმა - ირაკლი ქსოვრელმა. თუმცა, პალატის 2021 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განკარგულება დარჩა უცვლელი. შესაბამისად, ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, 2021 წლის 17 ივნისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც გადაწყდა მითითებული 9 კანდიდატის პარლამენტისთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენის საკითხი.

ამრიგად, 2021 წლის 17 ივნისს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისთვის წარსადგენად - ქეთევან მესხიშვილს მხარი დავუჭირე. ვინაიდან, მიმაჩნია, რომ იგი მისი ცოდნის, კომპეტენციის, პროფესიული გამოცდილების, პროფესიული თვისებების, აკადემიური მიღწევების, გამოვლენილი უნარ-ჩვევებისა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების გათვალისწინებით, ღირსეულად შეასრულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისთვის დაკისრებულ რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობას.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 17/06-2021